# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 476/151
## დაცვითი მომსახურებაზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

„28“ ივლისი 2017 წელი ქ. ბათუმი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტი „ა“ ქვეპუნქტის), „იარაღის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, 2004 წლის 6 ივლისის „საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №261“-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ შესაბამისად:

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (მდებარე, ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119), უფლებამოსილების მქონე პირის ***არჩილ სირაბიძის*** სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო (მდებარე, ქ.ბათუმი ტბ. აბუსერიძის ქ.№11), წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის **კარლო ურუშაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია:

1.1.1. „მიმწოდებელის“ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განკარგვაში არსებული ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედავაშლოვანში სამი ხუთსართულიანი საცხოვრებელი შენობება.

1.1.2. „მიმწოდებელის“ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განკარგვაში არსებული ქ. ბათუმში, თამარის დასახლება, სახლი №29-ის მიმდებარედ საცხოვრებელი შენობება.

„ობიექტების“ დაცვა განხორციელდება (დანართი ერთის მიხედვით) საპოლიციო ძალებით (საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვა) შეიარაღებული ცეცხლსასროლი (სამსახურებრივ-საშტატო) იარაღის გამოყენებით, რაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების თანახმად დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას (CPV 79713000-დაცვის მომსახურება).

### მუხლი 2. დაცვის თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვის რეჟიმი

2.1. .ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ ობიექტის დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო პოლციის 6(ექვსი) ინსპექტორისა და 24 (ოცდაოთხი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით.

2.2. ობიექტის დაცვა განხორციელდება ყოველდღიურად, დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში, ერთ ობიექტზე ცვლაში არანაკლებ 5(ექვსი) პოლიციელის (ერთი ინსპექტორი და ოთხი უმცროსი ინსპექტორი) მეშვეობით.

### მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. „შემსყიდველი“-ს უფლება-მოვალეობებია:

3.1.1. შეუქმნას დაცვას სამუშაო პირობები.

M.I.A. OF GEORGIA L.E.P.L. S.P.D. ADJARIAN SECURITY POLICE 211350928

3.1.2. ხელშეკრულებით დადგენილ დროში აანაზღაუროს დაცვის მომსახურების თანხები.
3.1.3. განახორციელოს „ობიექტის" პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება. „მიმწოდებელთან" ერთად იზრუნოს „ობიექტის' დაცვის სრულყოფისათვის.
3.1.4. „მიმწოდებელს" 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე" მოსალოდნელი ყველა ის ცვლილებები, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის" დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო მუშაობის წარმოება და ა.შ.)
3.1.5. „ობიექტის" მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში არ შევიდეს მასში „მიმწოდებლის" თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა.
3.1.6. დაცვის თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და ნებისმიერი სამსახურეობრივი ან დისციპლინარული გადაცდომის" (მათ შორის სამსახურში დაგვიანება, არასაპატიო მიზეზით გაცდენა და სხვა) შესახებ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს".
3.1.7. გააცნოს დაცვის მუშაკებს დასაცავ ობიექტზე არსებული ტექნიკური უსაფრთხოების წესები.
3.1.8. „შემსყიდველს" ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული ხელშეკრულების 1.1 პუნქტით.
3.1.9. „ობიექტის" დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის გამოყოს პასუხისმგებელი პირი რომელიც უზრუნველყოფს ობიექტზე არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვაზე ჩაბარებას შესაბამისი წესების დაცვით.
3.1.10. რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყონებლივ აცნობოს „მიმწოდებელს".

**3.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია:**

3.2.1. არ გაამჟღავნოს „შემსყიდველის" სამსახურეობრივი საიდუმლოება.
3.2.2. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებულ ობიექტებში საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვა.
3.2.3. „პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.
3.2.4. დაცვის მომსახურების ტარიფის ზრდის შემთხვევაში „მიმწოდებელმა" 1 (ერთი) თვით ადრე უნდა აცნობოს „შემსყიდველს" აღნიშნულის შესახებ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
3.2.5. „მიმწოდებელი" ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს „მიმწოდებლის" თანამშრომლების მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რის გამოც გამოწვეული იქნა ზარალი.
3.2.6. ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის" საბუღალტრო დოკუმენტაციას.
3.2.7. „შემსყიდველისათვის" ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას „მიმწოდებელი" მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.
3.2.8. „ობიექტზე" აღმოჩენილი ზარალის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს „დამკვეთს" და უზრუნველყოს შს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა.

აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო M.I.A. OF GEORGIA ADJARIAN SECURITY POLICE 211350928

3.2.9. იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია „მიმწოდებლის" ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა „შემსყიდველის" დაუდევრობამ.

3.3. „მიმწოდებელი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს, თუ:

3.3.1. „შემსყიდველმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, „ობიეტის" პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები.

3.3.2. თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავ „ობიექტში".

3.3.3. მატერიალური ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „შემსყიდველის" მიერ „ობიექტის" „მიმწოდებლისათვის" ჩაუბარებლობის მიზეზით.

**მუხლი 4. დაცვის მომსახურების ღირებულება და მხარეთა შორის ანგარიშსწორება**

4.1. დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 22200 (ოცდაორიათასორასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, ერთი ინსპექტორი **900** (ცხრაასი) ლარი ერთი უმცროსი ინსპექტორი **700**(შვიდასი) ლარი.

4.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველ საანგარიშო თვის ბოლოს „მიმწოდებლის" მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

**მუხლი 5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შემტანი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**მუხლი 6. უფლებების გადაცემა**

6.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარ წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადსცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

**მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

**მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი შეუსრულებლობის გამო**

8.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შეთხვევაში.

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

## მუხლი 9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

19.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით „შემსყიდველი" გამოყოფს კოორდინატორს, რომლის ფუნქციები განისაზღვრება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლით.

## მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალიწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## მუხლი 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით

მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

**მუხლი 12. გამოყენებული სამართალი**

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 13. ხელშეკრულების ენა**

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

**მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

14.1. ხელშეკრულების ფარგლებში დაცვითი მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2017 წლის 01 აგვისტოდან 2017 წლის 01 სექტემბრამდე ხოლო ხელშეკრულება მოქმედებს 2017 წლის 30 სექტემბრამდე.

**მუხლი 15 სხვა პირობები**

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი რჩება „შემსყიდველს", ხოლო დანარჩენი „მიმწოდებელს".

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:**

„ შემსყიდველი "

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
(მდებარე, ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119)
ტელ: (0422) 273510
ს.კ.245429200

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
უფლებამოსილების მქონე პირი

/არჩილ სირაბიძე/

„მიმწოდებელი "

ს/კ 211350928 სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი
თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი
მიმღების ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა;
მიმღების დასახელება _ ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი _ TRESGE22;
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _707117043

აჭარის დაცვის პოლიციის
სამმართველოს უფროსი

/კარლო ურუშაძე/

დანართი 1 თან ერთვის 2017 წლის 28 ივლისს
გაფორმებულ N 476 ხელშეკრულებას

| № | ობიექტის დასახელება | მისამართი | ობიექტს იცავს | საშტატო განაწილება და მომსახურეობის ღირებულება | | სრული მომსახურების ღირებულება თვეში დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ინსპექტორი | უმცროსი ინსპექტორი | |
| 1 | სოციალური ბინები | ხულოს მუნიციპალიტეტი. სოფ. ზედა ვაშლოვანი | ხელვაჩაური-შუახევის დაცვის პოლიციის ქვეგანყოფილება | 3*900=2700 | 12*700 =8400 ლარი | **11100 ლარი** |
| 2 | სოციალური ბინები | ბათუმი თამარის დასახლება, სახლი N29-ის მიმდებარედ | ბათუმის დაცვის პოლიციის ქვეგანყოფილება | 3*900=2700 | 12*700 =8400 ლარი | **11100 ლარი** |
| | | | | 6*900=5400 | 24*700=16800 | **22200 ლარი** |

„ვამტკიცებ"
აჭარის დაცვის პოლიციის
სამმართველოს უფროსი
პოლიციის მაიორი
კარლო ურუშაძე

„ვამტკიცებ"
აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს უფლებამოსილების
მქონე პირი
არჩილ სირაბიძე